



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
**MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA**



KA030176215318712

საქართველო, თბილისი 0159; აკწერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 51 00 11; ფაქსი: (+995 32) 51 00 19; ცხელი ხაზი: (+995 32) 51 00 33; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 51 00 11; Fax: (+995 32) 51 00 19; Hot line: (+995 32) 51 00 33; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/8237

16 / თებერვალი / 2012 წ.

აიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს
თბილისი, ა/მაჭავარიანის ქ. №4. 0179

ბატონო გიორგი,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული თქვენი წერილის პასუხად (№9812, 07.02.12წ) საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, შესაბამისი კომპეტენციის მქონე დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაცნობებთ შემდეგს:

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის მონაცემებით („C ჰეპატიტის ეფექტური მართვა საქართველოში - პრობლემის არსი და ძირითადი გამოწვევები“), ერთერთი ყველაზე სრულყოფილი კვლევის მიხედვით, რომელიც ჩატარდა 2008 წელს, საქართველოს მოზრდილ მოსახლეობაში C ჰეპატიტის პრევალენტობა აღწევს 6,7%-ს. ანუ, საქართველოში დაახლოებით 200 000 ადამიანი ინფიცირებული HCV - ით.

„2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის N77 დადგენილებით დამტკიცებულ „ინფექციური დაავადებების მართვის“ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც მწვავე ვირუსული C ჰეპატიტის (რომელიც მიმდინარეობს პათოლოგიური პროცესის მაღალი აქტივობით), ასევე ქრონიკული ვირუსული C ჰეპატიტის სტაციონარული მკურნალობა თანაგადახდით შემდეგი ასაკობრივი დაყოფით: 18 წლამდე პაციენტებისთვის თანაგადახდის მოცულობა შეადგენს პროგრამით განსაზღვრული ღირებულების 20%-ს, 18-60 წლამდე პაციენტებისთვის – 50%-ს და 60 წლის ზევით ასაკის პაციენტებისთვის -30%-ს. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება არ მოიცავს სპეციფიკური მედიკამენტებით (მაგ. ინტერფერონი, რიბავირინი) მკურნალობას. ამ პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლეების და 3 წლამდე ასაკის ბავშვთა კრიტიკული მდგომარეობების მომსახურება ანაზღაურდება სრულად, თანაგადახდის გარეშე. აღნიშნული პროგრამა უწყვეტად გრძელდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის N492 დადგენილების („იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს მიერ 2011 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2012 წლის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე“) საფუძველზე.


რაც შეეხება, მომავალ წელს C ჰეპატიტით დაავადებულთა სამკურნალოდ გათვალისწინებულ საბიუჯეტო ასიგნებებს, გაცნობებთ, რომ „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, „ინფექციური დაავადებების მართვის“ (პროგრამული კოდი 35 03 03 02) სახელმწიფო პროგრამის საბიუჯეტო ასიგნება განისაზღვრა 2 332 000 ლარის ოდენობით, რომელშიც შედის

მწვავე და ქრონიკული ჰეპატიტების ზემოაღნიშნული მოცულობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსებაც.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი

სამინისტროს აპარატი (დეპარტამენტი),
აპარატის უფროსი



ნინო მირზიკაშვილი